

**მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და წინადადებები
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტროს მიერ
გამოქვეყნებულ კანონპროექტზე
„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“**

15 დეკემბერი, 2015

2015 წლის 12 ნოემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი ვერსია გამოაქვეყნა.

ქვემოთ წარმოდგენილია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და წინადადებები „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე. თავდაპირველად, წარმოდგენილია კანონპროექტთან დაკავშირებული ზოგადი, პრინციპული ხასიათის შენიშვნები; მეორე ნაწილში მოცემულია შენიშვნები და წინადადებები მუხლობრივად, მხოლოდ ზოგიერთი მუხლის მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტი პირველად გამოქვეყნდა და მისი საჯარო განხილვა ჯერ არ ჩატარებულა, დაწვრილებითი მუხლობრივი შენიშვნების წარმოდგენა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, სანამ სამინისტროს მხრიდან არ იქნება განმარტებული ზოგიერთი პრინციპული საკითხი და არ იქნება მიღწეული მათზე გარკვეული კონსენსუსი. ბოლოს წარმოდგენილია ზოგიერთი რეკომენდაცია წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის დახვეწასთან დაკავშირებით.

I. ზოგადი ხასიათის შენიშვნები

კანონპროექტის სათაურიდან, მის პირველ და მეორე მუხლებში ჩამოყალიბებული „რეგულირების სფეროდან“ და „კანონის მიზნიდან“ გამომდინარე, დაინტერესებულ საზოგადოებას ექმნება მოლოდინი, რომ წარმოდგენილი ნორმატიული აქტით უნდა დარეგულირდეს ბიომრავალფეროვნების საფრთხეებთან, მის კონსერვაციასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემური საკითხი, რომლებიც განსაზღვრულია 2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში (შემდგომში - “სბსმგ”)¹. სამწუხაროდ, კანონპროექტის ტექსტისა და განმარტებითი ბარათის გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა რომ:

- კანონპროექტით არ არის სათანადოდ დარეგულირებული ბიომრავალფეროვნების ისეთი საფრთხეები, როგორცაა ჰაბიტატების განადგურება, დეგრადაცია (მათ შორის გარემოს დაბინძურების შედეგად) და ფრაგმენტაცია; ინვაზიური სახეობებისა და დაავადებების გავრცელება (განსაკუთრებით მცენარეებთან მიმართებაში).
- კანონპროექტში პრაქტიკულად არ არის განხილული ბიოუსაფრთხოების საკითხები.
- საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სამართლებრივი მექანიზმები უგულვებელყოფილია მთელი რიგი ისეთი საკითხების

¹ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N343 დადგენილებით

გადაწყვეტისას, რომლებზეც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. (იხ. სბსმგ ეროვნული მიზანი - A.2. და მისი ამოცანები)

- კანონპროექტის ძირითადი ტექსტიდან, მისი გარდამავალი დებულებებიდან და განმარტებითი ბარათიდან გაუგებარია, თუ როგორ იქნება შემდგომში დარეგულირებული ნადირობისა და თევზჭერის (როგორ სამოყვარულო, ისე კომერციული) საკითხები.
- გაუგებარია, ამ კანონის მიღების შედეგად უქმდება თუ ძალაში რჩება „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონი (ან მისი რომელიმე ნაწილი), ასევე ამ კანონის და „ტყის კოდექსის“-ის კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც არეგულირებენ ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს (მაგ. ნადირობა, თევზჭერა, სამონადირეო მეურნეობების შექმნა-ფუნქციონირება და ა.შ.). გაუგებარია, შედის თუ არა ცვლილებები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში. ამ საკითხების კანონპროექტის შემუშავების საწყის ეტაპზე გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, კიდევ უფრო გაუგებარ და წინააღმდეგობრივ კანონმდებლობას მივიღებთ, რაც საბოლოო ჯამში ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას გამოიწვევს.
- არ არის განსაზღვრული პროცედურები, რომლებითაც ჰაბიტატების დაცვის მიზნით ტერიტორიას შეიძლება მიენიჭოს „ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის“ ან „ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის სტატუსი“; არ არის განსაზღვრული ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სამართლებრივი მექანიზმები; გაუგებარია, როგორ უნდა განისაზღვროს ამ ტერიტორიების მართვის მექანიზმები.
- კანონპროექტის ტექსტის თანახმად, კვლავ დაურეგულირებელი დარჩება არამერქნული მცენარეული რესურსების კონსერვაციისა და გამოყენების საკითხები. ამ ხარვეზის შესახებ არაერთხელაა აღნიშნული სხვადასხვა ანალიტიკურ დოკუმენტში, მათ შორის სბსმგ-ში (მაგალითად, იხ: A.3-04.8).
- კანონპროექტი არ გვთავაზობს ბიომრავალფეროვნების ასპექტების ინტეგრირების კონკრეტულ მექანიზმებს ეკონომიკურ სექტორში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კერძოდ, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ან სივრცული დაგეგმვის მეშვეობით.
- კანონპროექტი არ გვთავაზობს/არ აყალიბებს სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის კონკრეტულ სამართლებრივ მექანიზმებს იმ შემთხვევებისთვის, როცა ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება გარდაუვალია (სბსმგ A.3-05.3).
- კანონპროექტი არ გვთავაზობს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების ეკონომიკური შეფასების და მათი გათვალისწინების სამართლებრივ მექანიზმებს (სბსმგ A3-02).
- კანონპროექტი არ გვთავაზობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის წამახალისებელი მექანიზმების დანერგვის საშუალებებს (სბსმგ A3-03).
- არსებული სახით კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, საქართველოს კვლავ არ ექნება უცხო ინვაზიური სახეობების მართვასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა, ასევე არ იქნება შეფასებული უცხო ინვაზიური სახეობების ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და არ იწარმოებს საჭირო მონიტორინგი.
- კანონპროექტი არ არის სათანადოდ ჰარმონიზებული მომიჯნავე კანონმდებლობასთან, არ არის ჯეროვნად გათვალისწინებული გამჭოლი კანონმდებლობის საკითხები, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა. მათ შორის, არ არის გათვალისწინებული ახალი „ტყის კოდექსისა“ (მხედველობაში გვაქვს ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში განხილული ცალკეული საკითხები, რადგან ახალი „ტყის კოდექსის“ პროექტის შემუშავების პროცესი გაუმჭვირვალედ მიმდინარეობს და მისი ტექსტი საზოგადოებისათვის უცნობია) და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შემუშავების პროცესში გამოკვეთილი და საზოგადოებრივი განხილვებისას შეთანხმებული საკითხები.

- არ არის განსაზღვრული საერთაშორისო მნიშვნელობის დაცული ტერიტორიების („რამსარის საიტების“, ბიოსფერული რეზერვატების და მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების) შექმნისა და მართვის საკითხები.
- კანონპროექტი არ გვთავაზობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნისა და საჭიროებების ინტეგრირებისათვის სამართლებრივ მექანიზმებს (სბსმგ - E.3. E.3.-i1).
- კანონპროექტში კვლავ გვხვდება მოქმედ კანონმდებლობაში შემორჩენილი ზოგიერთი გაუგებარი და დრომოჭმული, საბჭოთა სინამდვილიდან გადმოტანილი ტერმინი და განსაზღვრება (მაგ. „ტყის ფონდი“, „სანიტარული ჭრა“ და ა.შ.).

ზემოხსენებული ხარვეზების უმეტესობა გვხვდება არსებული კანონმდებლობაშიც. ისინი აღწერილია საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში, სადაც აღნიშნულია, რომ ახალმა კანონმდებლობამ ეს ხარვეზები უნდა გამოასწოროს. სამწუხაროდ, განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტი ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს.

II. შენიშვნები და კომენტარები მუხლების მიხედვით

მუხლი 1.

პუნქტი 1 - აღნიშნული ფორმულირება ასახული უნდა იქნას კანონის მიზანშიც.

მუხლი 4.

- ტერმინი „ბიომრავალფეროვნება“ მოიცავს მხოლოდ ცხოველთა და მცენარეთა სახეობებს და არ ფარავს ცოცხალ ორგანიზმთა სხვა სამეფოებს.
- ტერმინების განმარტებაში არ არის განმარტებული ტერმინი, „გარეულ ცხოველთა დერივატები“ („დერივატები“), თუმცა ის რამდენჯერმე გვხვდება კანონპროექტის ტექსტში.
- კითხვას ბადებს, რამდენად სწორია ტერმინი „ეგზოტური ცხოველები“


მუხლი 5.

- გაურკვეველია თვითმმართველობების უფლებები გარეულ ცხოველთა სახეობებთან მიმართებაში. როგორც ტექსტიდან ჩანს, მათ არანაირი უფლება ამ მხრივ არ გააჩნიათ.

მუხლი 6.

- დ) შემოთავაზებულია შემდეგი ფორმულირება: „ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე, გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოზე, გამრავლების არეალებზე, გადარჩენის სტაბილურობაზე, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელ გზებზე და წყლის სასმელ ადგილებზე უნდა ხორციელდებოდეს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ დაცვას“. აღნიშნული ფორმულირება მეტად ზოგადია და ვერ უზრუნველყოფს კანონის მიზნის შესრულებას და ბიომრავალფეროვნების დაცვას. დღეს მოქმედ კანონმდებლობაში (კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“) გაცილებით მკაცრი ფორმულირებებია, მაგრამ სამინისტროს არასოდეს გამოუყენებია ეს მუხლები სხვადასხვა დესტრუქციული პროექტის განხორციელებაზე ზემოქმედების მოსახდენად. საპირისპიროდ, მწვანე ალტერნატივას სხვადასხვა სასამართლო პროცესზე არაერთხელ დაუმყარებია საკუთარი თვალსაზრისი ამ მუხლებზე, თუმცა სამინისტროს იურისტები, აღნიშნული მუხლების ზოგადი ხასიათის მომიზეზებით, მას არ იზიარებდნენ.
- ე) ქვეპუნქტი - პრინციპი მისაღები და მისასაღმებელია, თუმცა, სამწუხაროდ, შემდგომ ტექსტში არ ჩანს პრაქტიკაში მისი დანერგვის სამართლებრივი მექანიზმები.
- ვ) ქვეპუნქტი - გაუგებარია რაში მდგომარეობს ამ ქვეპუნქტის აზრი.

- ი) პრინციპებში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ზიანის ანაზღაურების საჭიროება და ვალდებულება დგება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამოწურულია ზიანის აცილებისა და შემცირების ყველა შესაძლებლობა. ამ იერარქიის (ზიანის აცილება-შემცირება-კომპენსაცია) დარღვევის შემთხვევაში, მივიღებთ ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ იერარქიის შესახებ არის საუბარი მე-14 მუხლში, თუმცა სასურველია, რომ მე-6 მუხლში სრულყოფილად იქნას ჩამოყალიბებული პრინციპის დონეზე.



მუხლი 7.

პუნქტი 2. „ი“ - წითელი ნუსხის სახეობის გარემოდან ამოღება უნდა იყოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და არა რაიმე ტიპის შეთანხმების საგანი.

მუხლი 11.

- გაუგებარია რაში მდგომარეობს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის დაყოფა „საერთო სარგებლობისა“ და „სპეციალური სარგებლობის“ კატეგორიებად. ასეთი დაყოფა არსებობს მქმედ კანონმდებლობაშიც და პრაქტიკულად არაფერს არ განსაზღვრავს.
- პუნქტი 15. ფრინველთა კლასი ცხოველთა სამეფოში შედის, წარმოდგენილი ფორმულირება გაუმართავია და გაუგებარია, რომელი კლასები იგულისხმება „ცხოველებში“.

მუხლი 14.

- სასურველია, რომ განსაზღვრული იყოს, რომ ამ მუხლში აღნიშნული პრინციპების (მიზნის) - სახეობებისა და ჰაბიტატების ზიანის თავიდან აცილება სხვადასხვა საქმიანობის შედეგად პრაქტიკულად განხორციელების მექანიზმს წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასება.
- საჭიროა მუხს დაემატოს, რომ საქმიანობა, რომელმაც შეიძლება მოახდინოს შეუქცევადი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, დაკავშირებულია დაცული სახეობების გარემოდან ამოღებასთან ან დაზიანებასთან, შესაძლოა გავლენა მოახდინოს დაცულ ჰაბიტატებზე, აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. (იხ. სსმმგ, 11.3 „სტრატეგიული მიდგომები“: „უნდა გაუმჯობესდეს არსებული გზმ-ს პროცედურები, რათა უკეთესად იყოს გათვალისწინებული ბიომრავალფეროვნების საკითხები; უნდა გადახალისდეს გზმ-ს დაქვემდებარებული საქმიანობების ნუსხა და ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით (CBD DEC VIII/22), მასში უნდა შევიდეს ინფრასტრუქტურის განვითარების ყველა პროექტი, რომლებიც პოტენციურად უარყოფით

ზეგავლენას იქონიებს ბიომრავალფეროვნებაზე. ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია თავიდან უნდა იქნეს აცილებული და, თუ ეს შეუძლებელია, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. ამისათვის, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ეგიდით შექმნილი დოკუმენტების მიხედვით, უნდა შემუშავდეს შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები“.

მუხლი 15.

- 1-ლი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილება სამინისტრომ უნდა მიიღოს მხოლოდ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შედეგად.

თავი III ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორია და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორია

- აღნიშნული თავი ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა არ არის განსაზღვრული ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის ან ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაარსების პროცედურები, მისი მართვის (მენეჯმენტის გეგმის მომზადების) საკითხები, ამ პროცესში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები.
- აუცილებლად მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ თავს (სავარაუდოდ, მე-20 მუხლს), ასევე გარდამავალ დებულებებს (მუხლი 76) დაემატოს ნორმატიული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის ან ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაარსების, ასევე მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპები და პროცედურები. ასეთი ნორმატიული აქტი შეიძლება დამტკიცდეს მინისტრის ბრძანებით მთავრობის დადგენილებით (როგორც ტექნიკური რეგლამენტი). აღნიშნული ნორმატიული აქტით შესაძლებელია ასევე სხსმგ-ით გატვალისწინებული ამოცანის „მდგრად გამოყენებასთან თავსებადი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ინტეგრირება კანონმდებლობაში E.3-01.2.“ გათვალისწინება.
- ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის ან ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაარსების ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნულ თავს ასევე უნდა დაემატოს საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციით² და საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმით³ და გულისხმობენ ტყის კატეგორიზაციის ჩატარებას სხვადასხვა ტიპის დაცული ტერიტორიის დაარსების მიზნით.

მუხლი 19.

- მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს შესაძლოა დასჭირდეთ ადაპტირება, ჩვენი ქვეყნის სპეციფიკისა და ბიომრავალფეროვნების გათვალისწინებით.

მუხლი 21.

- მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის მართვას ახორციელებს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან/და მართვაზე პასუხისმგებელ პირი მენეჯმენტის გეგმის საფუძველზე“.

² საქართველოს ტყის ფონდის სხვადასხვა ფუნქციურ კატეგორიად დაყოფა და ამ პროცესში დაცული ტერიტორიების წარმომადგენლობითი ქსელის შექმნა კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმის შესაბამისად ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) I-IV კატეგორიებში ტყის ფართობების გაზრდით.

³ C.3- 02.3 ტყეების კატეგორიზაციის ოპტიმალური სისტემის შემუშავება და დანერგვა, მათ შორის IUCN-ის V კატეგორიის, ეკოლოგიური დერეფნებისა და მაღალი კონსერვაციული ღირებულების (HCV) ტყეების გამოყოფა და მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება. 4-05.4. დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ირიბი და პირდაპირი ნეგატიური ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად ან/და შესარბილებლად ანალიზის ჩატარება, ყველა დაკავშირებულ კანონში შესწორებებისა და დამატებების პაკეტის მომზადება და ცვლილებების შეტანა.

- მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის ტერიტორიის ხელყოფისაგან დაცვა არის მესაკუთრის ან/და მართვაზე პასუხისმგებელ პირის ვალდებულება“.

მუხლი 27.

- საჭიროა განისაზღვროს წითელი ნუსხის კომისიის დაკომპლექტების გამჭვირვალე მექანიზმები.
- გაუგებარია, როგორ ფინანსდება წითელი ნუსხის კომისიის მუშაობა.

მუხლი 30.

- ამ მუხლით განსაზღვრულ წინადადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

მუხლი 33.

- გაუგებარია, რატომ უნდა იყოს დაშვებული “წითელ ნუსხა“-ში შეტანილი, ბუნებრივად მოთხრილ-მოტეხილი, ფაუტი, ზეხმელი და ხმოზადი მერქნიანი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება, მათ შორის დაცულ ტერიტორიებზეც. ასეთი დაშვება იძლევა სხვადასხვა კორუფციული ქმედებების განხორციელების საშუალებას, რასაც ადგილი ქონდა წაბლის მერქნის კომერციული მიზნით მოპოვებაზე ნებართვების გაცემისას. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ეს არანაირ სიკეთეს არ მოიტანს. ბუნებრივად მოთხრილ-მოტეხილი, ფაუტი, ზეხმელი და ხმოზადი მერქნიანი მცენარეები ეკოსისტემაში ქმნიან ბიომასას, მათი ეკოსისტემიდან მოშორება კი იწვევს ეკოსისტემის პროდუქტიულობის შემცირებას, რომ არაფერი ვთქვათ გამოტანის პროცესში გარემოზე მიყენებულ ზიანზე. ეს პუნქტი აუცილებლად ამოსაღებია კანონპროექტიდან.
- მიუღებელია ამ მუხლის მე-6 და მე-7 ამასთანავე, ისინი ეწინააღმდეგებიან კანონპროექტის მე-14 მუხლს. პროექტების განხორციელების დროს წითელი ნუსხის სახეობის გარემოდან ამოღების საკითხი უნდა წყდებოდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას და არ უნდა იყოს გზშ-გან დამოუკიდებელი პროცესი, როგორც ახლა ხდება. პრინციპულად მიუღებელია, როდესაც საკომპენსაციო ღონისძიებები ინიშნება ზემოქმედების თავიდან არიდებისა და შემცირების შესაძლებლობების განხილვის გარეშე.
- პუნქტი 9. უნდა განიმარტოს, რომ სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა არ არის დაშვებული დაცულ ტერიტორიებზე. აღსანიშნავია, რომ სპეციალური სარგებლობა, როგორც წესი და უმეტეს შემთხვევაში ხდება წიადის მოპოვებისას, რაც დღევანდელი კანონმდებლობით არ ექცემა დაცვას გზშ-ს.
- მიუღებელია მე-10 პუნქტი, ის არღვევს ამ კანონპროექტის პრინციპებსაც და სბსმგ-ით დადგენილ პრინციპებსაც.

მუხლი 36 და მუხლი 37.

- უკეთესი იქნება, თუ ამ მუხლების თანამიმდევრობა შეიცვლება, ვინაიდან არსებული რედაქციით. ჭირს მათი შინაარსის აღქმა

მუხლი 38.

- გაუგებარია, ვინ ახორციელებს ამ მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს დაცული ტერიტორიების ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა „დაცული ლანდშაფტი“ და „მრავალმხრივი გამოყენების ზონა“.

მუხლი 47.

- დამატებით განმარტებას საჭიროებს, რა იგულისხმება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში და რა მექანიზმით დგინდება ეს გამონაკლისი.
-

მუხლი 61.

- პუნქტი 1. გაუგებარია, რა იგულისხმება „შესაბამისი პროფილის დაწესებულებაში“, საჭიროა დაზუსტება.
- პუნქტი 4-ის თანახმად, ცოცხალი სახეობის ნიმუშის ტრანსპორტირებისა და დროებითი შენახვის ხარჯები ეკისრება სამართალდამრღვევ პირს. სამართალდარღვევა დგინდება სასამართლოს მიერ, რომელიც შეიძლება წლობით გაიწელოს. ვინ ანაზრაულებს ამ ხარჯებს ამ დროს? თუ სასამართლომ არ ცნო დამნაშავედ ბრალდებული, მაშინ რა ხდება?

მუხლი 62.

- მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „აუქციონის გამართვამდე სამინისტრო, სამეცნიერო ორგანოს დასკვნის საფუძველზე, ადგენს კონვენციის მეორე დანართში შეტანილი მცენარეების ნიმუშების ბუნებაში მოპოვების კვოტას.“

მუხლი 65.

- გაუგებარია ამ მუხლით განსაზღვრული სარგებლის სამართლიანი განაწილების მექანიზმი. კარგი იქნება განისაზღვროს გარკვეული პრინციპები.

მუხლი 75.

- საჭიროა კანონპროექტთან ერთად წარმოდგენილი იქნას ამ მუხლის შესაბამისი ცვლილებები ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსებში.

მუხლი. 76.

საჭიროა დაემატოს სულ მცირე შემდეგი გამოსაცემი ნორმატიული აქტები:

- „ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის ან ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაარსების, ასევე მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურების განსაზღვრის შესახებ“.
- „საქმიანობის შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის შემცირებისა და კომპენსაციის წესის შესახებ“ (იხ. სბსმგ-ის ამოცანა A.3 - 05.3. სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის მექანიზმების ჩამოყალიბება იმ შემთხვევებისთვის, როცა ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება გარდაუვალია
- ინვაზიური სახეობების ნუსხის დამტკიცებისა და მართვის ღონისძიებების შესახებ.

რეკომენდაციები

- იმ შემთხვევაში თუ განსაზღვრულია, რომ ნადირობისა და თევზჭერის საკითხები უნდა დარეგულირდეს სხვა კანონით, მაშინ ამის შესახებ უნდა აღინიშნოს როგორც კანონის ტექსტში, ისე მის განმარტებით ბარათში.
- იმ შემთხვევაში თუ განსაზღვრულია, რომ ნადირობისა და თევზჭერის საკითხები უნდა დარეგულირდეს „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ არსებული კანონით, მაშინ ამის შესახებ უნდა აღინიშნოს როგორც კანონის ტექსტში, ისე მის განმარტებით ბარათში.
- გარდამავალ დებულებებში უნდა აღინიშნოს „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ კანონის, ასევე სხვა კანონების რომელი მუხლები და კანონქვემდებარე აქტები უქმდება და რა ვადაში.
- იმ შემთხვევაში თუ განსაზღვრულია, რომ ბიოუსაფრთხოების საკითხები უნდა დარეგულირდეს სხვა კანონით, მაშინ ამის შესახებ უნდა აღინიშნოს როგორც კანონის ტექსტში, ისე მის განმარტებით ბარათში.
- არამერქნული მცენარეების დაცვისა და გამოყენების საკითხები აუცილებლად უნდა შევიდეს ამ კანონში.
- თუ საქმიანობის შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის შემცირებისა და კომპენსაციის საკითხების მოწესრიგება, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, არ იქნება მოხერხებული კანონქვემდებარე აქტით, მაშინ ამისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური კანონი, რომელიც განსახილველი კანონპროექტის ძალაში შესვლის პარალელურად უნდა ამოქმედდეს.

- წარმოდგენილი პროექტის აქტუალობიდან და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საჭიროა აქტიურად დაიწყოს მისი საჯარო განხილვები, ორჰუსის კონვენციის შესაბამისად და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით.